



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აქაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი ● №9-10 (№199-200) ● საქაბგარი-ოქტობერი 2018 წელი

27 სექტემბერს გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი, ოთხსართულიანი საბიბლიოთეკო კორპუსი. ბიბლიოთეკა საჭირო ავეჯითა და ტექნიკით აღიჭურვა. ასევე, მოეწყო საკონფერენციო დარბაზები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ოთახები, წიგნადი ფონდის საცავი, სადაც მილიონამდე წიგნი განთავსდა.



ღვანდომოსილი
მაცნიარის იუბილა 83.3

ეთნოგრაფიული ექსპაღიცი
მარეთის ხაოგაში 83.6

სართაშორისო აონ-
ფარენცი
ამარიანისმცოდნეოგაში 83.4

შახვადრა რეო
ჭაიშვილის „გაღანახულ
ჩანაწარეობთან“ 83.5

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტმა პირველკურსელებისათვის "თეთრი ხალათების ცერემონიალი" მოაწყო. ამ ფორმით სტუდენტებს სწავლის მოტივაციას უმაღლებენ და ასხენებენ იმ პასუხისმგებლობას რაც მათ სამომავლოდ საკუთარ თავზე უნდა აიღონ.

"გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტი პირველკურსელებს სახეიმო დახვედრას უწევს, ჩვენ ცალკეც აღვნიშნავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. ეს უკვე ტრადიციად ქცეული "თეთრი ხალათების ცერემონიალია". ამ დღიდან ჩვენ პირველკურსელები იწყებენ უწყვეტ სამედიცინო განათლებას. მათ წინ დატვირთული, ხანგრძლივი საგანმანათლებლო პროცესი ელოდებათ. ჩვენ ვცდილობთ ავუმაღლოთ მათ განწყობა და დავეხმაროთ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში" - აღნიშნა ფაკულტეტის დეკანმა ირინა ფხაკაძემ.

"მედიკოსებმა ძალან კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს ჩვენს უნივერსიტეტში

"თეთრი ხალათების ცერემონიალი" სახით. სიმბოლურად აცმევენ თეთრ ხალათებს პირველკურსელებს და ამით აზიარებენ მათ სამედიცინო სფეროს. ისინი პირველი ნაბიჯების დაგეგმვას, გადაღმას ცდილობენ, რაშიც მინდა წარმატება ვუსურვო". - განაცხადა სასწავლებლის რექტორმა პროფ. გიორგი ღვინიაძემ.

რექტორთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყება კიდევ ერთხელ მიულოცეს და წარმატებები უსურვეს სტუდენტებს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კახა კუპატაძემ, საგანმანათლებლო პროგრამის „სამკურნალო საქმე“ ხელმძღვანელმა თამარ ვალიშვილმა, „სტომატოლოგიის“ პროგრამის ხელმძღვანელმა თენგიზ ლობჯანიძემ, პროფესორმა მაგული ჩხობაძემ.

წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მედიცინის ფაკულტეტმა 132 სტუდენტი მიიღო.



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ანბანის მონუმენტი დაიდგა.

მონუმენტი, რომლის ავტორიც მოქანდაკე გიორგი დარსაველიძეა, 25 სექტემბერს გაიხსნა. მასზე წარმოდგენილია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხერღული. მონუმენტზე დატანილია აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძისა და ღვთისაღმაშენებლის ფრაზები.

ქართული ანბანი UNESCO-ს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია.

ნომინაცია UNESCO-ს განსახილვე-

ლად წარედგინა 2015 წელს და მისი მთავარი მიზანია, ხაზი გაუსვას ქართული დამწერლობის სისტემური ევოლუციის შედეგად შექმნილი ანბანის სამი სახეობის პარმონიულ თანაარსებობას თანამედროვე რეალობაში.

გადაწყვეტილება ქართული ანბანის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანის შესახებ 2016 წელს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-11 სესიაზე (28 ნოემბერი-2 დეკემბერი) მიიღეს.



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა გუნდებმა დაპროგრამებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

გუნდები: *Kutaisi State University 1* (ირაკლი ბუცხრიკიძე, თამაზ ლელაძე, ლერი გოგსაძე) და *Kutaisi State University 2* (მარიამ მარგველაშვილი, თამარ კლდიაშვილი, ალექო ხანთაძე) დაპროგრამებაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის

ნახევარფინალში იასპარეზებენ, რომელიც თბილისში 1-2 დეკემბერს ჩატარდება.

27 ოქტომბერს ქუთაისში გამართულ მეოთხედიფინალში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 5, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2 და კონკურს გარეშე ქუთაისის სკოლების მოსწავლეთა 2 გუნდი მონაწილეობდა.

მეოთხედიფინალურ ეტაპზე რეგიონის მასშტაბით კი სულ მონაწილეობას იღებდა 11 უნივერსიტეტის 49 გუნდი.



ღვანულადი მაცნიერის იუბილე



2018 წლის 18 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის დაბადებიდან 70 და სამეცნიერო, სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს კარგად იცნობენ და აფასებენ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი გახლავთ მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გეოლოგიის, ნიუ-იორკის, ლიტერატურათმცოდნეთა, ფაზისისა და მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიების აკადემიკოსი, ქუთაისის, ვანისა და კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გერცელ ბააზოვისა და ქართულ-ევროპული ინსტიტუტის (პარიზი) პრემიების ლაურეატი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მეცნიერების“ პა-

სუხისმგებელი რედაქტორი. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ავტორია 60-მდე წიგნისა, და 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, შესაშური მისი ენციკლოპედიური ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში. 1996-2005 წლებში იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. იგი ქართველ ფილოლოგთა არაერთი თაობის აღმზრდელია, ავთანდილ ნიკოლეიშვილის სახელმძღვანელობის მიხედვით მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი ისწავლება საქართველოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ხელმძღვანელობით არაერთი დისერტაცია იქნა დაცული.

განუხრებელია ავთანდილ ნიკოლეიშვილის ღვაწლი ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა და თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ შექმნილი ქართული კულტურული მეცნიერების შესწავლის საქმეში. მის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ მართულებით გაწეული შრომის შედეგად დაწერილ წიგნებში: «ქართული ემიგრანტული მწერლობა», «ქართველილოგიური ეტიუდები» (ოთხ ტომად), «ქართულენოვანი ფოლკლორი და მწერლობა თურქეთში», „ლაზეთი. ისტორიულ-ფილოლოგიური წიადსვლება“, „თურქეთის შავი ზღვისპირეთში — ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, „თურქული დღიურები“, „ქართული კულტურის კე-

რა და ქართველები თურქეთში” და “ბაქოს ქართული დიასპორის ისტორიიდან,” უცხოეთში მოღვაწე არაერთი ცნობილი და სრულიად უცნობი ქართველი მწერლის შემოქმედება და ქართული კულტურული მეცნიერებათა განაწილებული.

უამრავმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა რეგალიამ ბატონ ავთანდილ ნიკოლეიშვილს გამოჩენულობის პრეტენზია არ დაატყო, ამიტომაცაა

კა დვალისძე. სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, რუსთაველისა და არაერთი სხვა პრემიის ლაურეატი, მწერალი რეჟისორი მიშველაძე, მწერალთა კავშირის იმერეთის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი, მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის პრეზიდენტი, მრავალი პრემიის ლაურეატი, მწერალი თეიმურაზ ლანჩავა, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი შოთა ზოიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, „მწერლის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი სოსო სიგუა, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი დავით შემოქმედელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჟურნალ „ინტელექტის“ მთავარი რედაქტორი გურამ ჩაჩანიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ოლეგ ჯიბაძე, იმერეთის ვიცეგუბერნატორი სოსო ხახალეიშვილი, ტელეკომპანია „რიონის“ გენერალური დირექტორი, ასოცირებული პროფესორის თამარ ღვინიაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი შალვა კირთაძე, მწერალი ელგუჯა თავბერიძე, პოეტი და პროფესორი ნომადი ბართაია, ფერეიდნელი ქართველი, პროფესორი საიდ მულანი, პოეტი და პროფესორი ომარ გვეტაძე, ნაზარიშვილის სახელობის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, პოეტი მერაბ კვიციანიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ოთარ ჭუმბურიძე და რობერტ გოლეთიანი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის განყოფილების თავმჯდომარე ლევან როხვაძე, ჟურნალ „აფინაჟის“ რედაქტორ-გამომცემელი, ახალგაზრდა მწერალი ლევან გოგაბერიშვილი (გორ-



იგი რჩეული და თითოეული ქართველი-სათვის მაგალითის მოძვეტი. საიუბილეო საღამოს, რომელიმაც სამ საათს გასტანა, ესწრებოდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მწერლები, მოწვეული სტუმრები თბილისიდან და ბათუმიდან. შეზღუდული რეგლამენტის მიუხედავად, გამომსვლელთა მისასალმებელ სიტყვებში კარგად წარმოიხინდა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის დამსახურება ქართული ლიტერატურის მიმართ, მისი პიროვნული ღირსებები. იუბილარს მიესალმნენ: უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. გიორგი დავითაძე, იუბილარი და დამსწრე საზოგადოება დალოცა წმიდა ილია მართლის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ექვთიმე (ჩივაძემ). შეხვედრას უძღვებოდა პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ლუ-

ვანელი), მწერალ სიმონ არველაძის სახელით მისი ქალიშვილი მეგი არველაძე, დოქტორანტი მონიკა ჯიჭონია.

საიუბილეო საღამოს მიმდინარეობის პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის სტუდენტური ანსამბლები „ადილა“ და „კოლხა“ მაიზერ გაზდელიანისა და ედუარდ მურცხვალაძის ხელმძღვანელობით. საღამო მოაშხადა ცნობილმა რეჟისორმა თორნიკე მარჯანიშვილმა.

აქტიური სამწერლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მიანიჭა ქართული კულტურის რაინდის საპატიო წოდება, ხოლო განათლების ინფორმატიზაციის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიამ იგი აირჩია ამ აკადემიის წევრად.

საერთაშორისო ხონფარენცია აშშ-ს საერთაშორისო უნივერსიტეტში



აწესი საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის, ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის ინიციატივით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არა ერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას ამერიკისმცოდნეობაში, რომელიც 2002 წლიდან ტრადიციულად ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. დღემდე საქართველოში აშშ საელჩოსა და აწესი ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებულია რვა საერთაშორისო კონფერენცია და გამოცემულია კონფერენციის მასალების კრებულები. საქართველოში მოღვაწე ცნობილი ამერიკანისტების გარდა კონფერენციებში მონაწილეობენ მეცნიერები და დოქტორანტურის სტუდენტები მსოფლიოს და საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან ასევე საქართველოში აშშ საელჩოს ხელმძღვანელი პირები.

კონფერენციის ძირითადი მიმართულებებია: ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, ფილოსოფია, თარგმანი, ქარ-

თულ-ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, განათლება და საზოგადოება.

2018 წლის 19-20 ოქტომბერს გაიმართა რიგით IX საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში. კონფერენცია მიემდგვნა აწესი-ში ამერიკისმცოდნეობის ფუძემდებლის, აწესი ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის დამაარსებლის, პროფ. ვახტანგ ამაღლობელის დაბადებიდან 70 წლისთავს.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები საქართველოს, აშშ-ის და ირანის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

ამერიკისმცოდნეობის მე-9 საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში კულტურის, ხელოვნების, პოლიტიკისა თუ ეკონომიკის ტრადიციული სექციების პარალელურად, პირველად შეუდგა მუშაობას მედიცინის სექცია.

IX საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა საქართველოში აშშ საელჩოს მხარდაჭერით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური

დახმარებით.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებსა და სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი პროფ. გიორგი დავითაძე. მან ასევე ისაუბრა პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის ღვაწლის შესახებ. პროფ. ამაღლობელი მოიგონეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, საქართველოში აშშ საელჩოს პრეს-ატაშემ ჯულიუს ცაიმ, პროფესორებმა ნანული კაკაურიძემ, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, ვასილ კაჭარავამ, ირაკლი ცხვედიანმა, ბაია კოლუაშვილმა, თემურ ლოლაძემ, რობერტ გოლეტიანმა, ლელა აბდუშელიშვილმა, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორმა ია იაშვილმა, ბ-მა იოსებ ასათიანმა.

პროფ. ვახტანგ ამაღლობელის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრას უძღვებოდა ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი ბაია არსენიძე.

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენციაზე ტრადიციულად დამკვიდრდა მონაწილეთა ახალი სამეცნიერო ნაშრომის პროზენტაცია. ამჯერად, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის პროფესორმა, ამერიკის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორმა ვასილ კაჭარავამ წარმოადგინა მთავისი ახალი წიგნი „დემოკრატიის გაკვეთილი: აშშ პოლიტიკური ისტორია 1877 წლიდან 2008 წლამდე“. წიგნი დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ასოცირებულმა პროფესორმა ბაია კოლუაშვილმა.

მსგავსი კონფერენციების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებული ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავებისათვის.

25 წელზე მეტი გავიდა, რაც საქართველო-ამერიკის შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა, ამიტომ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის – აშშ-ის ისტორიის, ლიტერატურის კულტურის, ხელოვნების, პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების სისტემისა და საზოგადოების შესწავლა მეტ აქტუალობას იძენს და ზრდის ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციების როლსა და მნიშვნელობას.

ბაია არსენიძე

სამანს იქით მოღვაწე ქართველები



ძველი ემიგრანტები წერდნენ: „ყოველი ქართველი ემიგრანტი ელჩია საქართველოს მთელ მსოფლიოში“.

სწორედ, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს მიემდგვნა ქართველ ემიგრანტთა მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა, რომელიც დაიწყო სალექციო კურსი „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“ პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრის საზაფხულო სკოლაში. ფოტოგამოფენა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკასთან არსებულმა ამერიკულმა კუთხემ წარმოადგინა.

საზაფხულო სკოლის სალექციო კურსი - „ქართველი ემიგრანტები ამერიკაში“, მოწვეულ სტუმრებთან პირდაპირი

ჩართვებით დინამურად მიმდინარეობდა, რომელმაც სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სალექციო კურსის ხელმძღვანელის ფილოლოგიის დოქტორის მარიამ მარჯანიშვილის განცხადებით დიალოგის მეთოდის გამოყენება უფრო ემოციურს, შთაბეჭდვად, უშუალოსა და უფრო სინთეზურს ხდის ლექციებს.

წელს, მერვე საზაფხულო სკოლის მსმენელებს, პირდაპირი ჩართვებით (skype-ით) პირველი ტალღის ემიგრანტთა ნარეკლიან გზაზე ესაუბრა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საფრანგეთის რესპუბლიკაში, ლევილის მმართველი საბჭოს წევრი ბატონი გოჩა ჯავახიშვილი. რამეთუ პარიზი იყო ის ცენტრი, რომელმაც უმასპინძლა ემიგრა-

ციაში გადახვეწილ მთავრობას და აქვე დაარსდა საქართველოს საელჩოც

ბატონმა გოჩა ჯავახიშვილმა დეტალურად მიმოიხილა ქართველ ემიგრანტთა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საფრანგეთში, შეეხო ლევილის „შატოს“ მნიშვნელობასა და მის ღირებულებას, ამასთან სტუდენტებს თანამედროვე ემიგრანტთა წარმატებებიც გააცნო და უპასუხა მათ კითხვებს.

სალექციო კურსის ძირითადი ასპექტები, რომლებიც უშუალოდ ამერიკაში მოღვაწე ემიგრანტთა ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, ამიტომაც ყურადღება „ამერიკის ხმის“ ქართულ გადაცემათა 67-წლიან ისტორიაზე გამახვილდა. მის ირგვლივ სტუდენტებს მოუთხრო ამერიკის ხმის გადაცემის „ვაშინგტონი დღეს“ წამყვანმა და რედაქციის ერთ-ერთმა რედაქტორმა ია მეურმიშვილმა.

ამერიკა ეს არის ძლიერი დემოკრატიის ზესახელმწიფო, სადაც ემიგრანტების სწრაფი ინტეგრაცია შესაძლებელია და „ამერიკული ოცნება“ რეალობაა, მისი განხორციელება ნებისმიერ ემიგრანტს შეუძლია, რომლის დასტურია პარკარდის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მედიცინის მეცნიერებთა დოქტორის სოფია ადამიას მოღვაწეობა. იგი მენტორობას უწევს ახალგაზრდა სტუდენტებს, უმცირესობის წარმომადგენლებს, ქალებს - მეცნიერებაში წარმატების მიღწევისათვის. სოფიო ადამიამ თავის ცხოვრებას უწოდა: „გზა სამტრედიიდან ბოსტონამდე“. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, სტუ-

დენტებს ურჩია სამომავლო პერსპექტივებისათვის წინასწარ ჩამოეყალიბებიათ თავიანთი მიზნები და სირთულეების გადალახვის ამოცანები.

„წარმატებაა იმის მიღწევა, აკეთო ის, რაც გიყვარს. ბედნიერებაა გიყვარდეს ის, რასაც მიადრე“, - დიდი კარნეგის სიტყვებით დაიწყო საუბარი University of Pittsburg-ის პოლიტიკურ მეცნიერებთა ლექტორმა ვასილ რუხაძემ.

მან ჯერ მიმოიხილა თავისი ემიგრანტული ცხოვრება ამერიკაში და აქვე წარადგინა სამეცნიერო ნაშრომები: „წერილები ამერიკიდან“, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ საინტერესო პუბლიკაციებს აერთიანებს და ავტობიოგრაფიული წიგნი „ამერიკა, - როგორც მე ვიცნობრე“. მკითხველი წიგნს უახლოეს დღეებში გაეცნობა.

სალექციო კურსი „ქართული ემიგრაცია ამერიკაში“ დასრულდა ამერიკაში მოღვაწე ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტ მარიამ კერესელიძეზე გადაღებული დოკუმენტური ფილმით „დაკარგული ქართველი ქალი“.

სალექციო კურსმა, რომელიც სინთეზურად წარიმართა, სტუდენტებს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა, არამარტო პირველი ტალღის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე, არამედ თანამედროვე ეკო-ემიგრანტების ცხოვრება-მოღვაწეობაზეც.

თამარ გუმბერიძე

შახვედრა რეზო ჭიჭიჭილის „გადანახულ ჩანაწერებთან“



მოგესვენებთ, როდენ დიდი საგანძურია ჩვენთვის რეზო ჭიჭიჭილის შემოქმედება. მისი მოთხრობები და რომანები მხატვრული ოსტატობის გასაცარ ნიმუშებს წარმოადგენენ,

სრულიად ახალი თვალთახედვით რომ გვაკითხებენ იმ სამყაროს, რომელშიც ვიბადებით და ვცხოვრობთ, რომლიდანაც გავუნაპირდებით. მისი პროზა არაა მხოლოდ მწერლობა, ლიტერა-

ტურა, ჟანრულ-სტილური თავისებურებების გამო საკირკიტო და დისერტაციების დასაცავად მოწოდებული მასალა, იგი უფრო უზარმაზარი აღნაგობის ცოცხალ სხეულს მიაგავს, რომელსაც ძალა შესწევს ჟამიდან ჟამში გადაინაცვლოს, ჩვენც გავგიჟოლოთ და უამრავ გათენებას გვაზიაროს. ტკივილითა და სიყვარულით გამოძერწილია ეს სხეული, რომელსაც ახლახანს „გადანახული ჩანაწერების“ ორი ტომი შეემატა, თანაც რეზო ჭიჭიჭილის ოთხმოცდამეხუთე წლისთავზე. სწორედ ამ გამორჩეული თარღის აღსანიშნავად და ორტომეულის წარსადგენად II ოქტომბერს უნივერსიტეტის „მწვანე დარბაზში“ გვიხმო ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ.

ამ შეხვედრის სულისჩამდგმელი და წამყვანი გახლდათ მწერალი ელგუჯა თავბერიძე, მეთავე სიტყვა კი ერგო რექტორის მოადგილეს - ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს, რომელმაც რეზო ჭიჭიჭილის ღვაწლის მნიშვნელობასთან ერთად ხაზი გაუსვა პირად ურთიერთობებს მწერალთან, მისი პიროვნული

სიბღის გამორჩეულობას, ქართული ხასიათით სისავსეს და განსაკუთრებულ ქუთაისელობას.

ელგუჯა თავბერიძემ ისაუბრა „გადანახული ჩანაწერების“ შესახებ. თავად გახლავთ ამ ტომების გამოცემ-დამსტამბავი და, ბუნებრივია, მას უკეთ მოეხსენებოდა რა „საიდუმლოს“ ინახავდა ის ტომები. მისივე და „გადანახული ჩანაწერების“ რედაქტორ-შემდგენლის, მწერალ თემურ ამეილაძის, თქმით დამსწრე საზოგადოებამ გაიგო, რომ ეს „ჩანაწერები“ გაცილებით მეტი მოცულობის ყოფილა და მომავალში გათვალისწინებულია კიდევ ხუთი ტომის გამოცემა, იმედი აქვთ ქალაქის მერია და თვითმმართველობა კვლავ დააფინანსებენ ამ გამოცემებს და ამით პატივს მიაგებენ რეზო ჭიჭიჭილის მწერლურ სიდიადეს.

„გადანახული ჩანაწერების“ ლიტერატურულ ღირებულებებზე ზემოთ ნახსენებ გამოცემებთან ერთად ყურადღება გაამახვილეს პროფესორებმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, გიორგი ონიანმა, ნესტან კუტივაძემ, ლუკა ღვალაიშვილმა, გია

ხოფერიამ, მწერალმა შარლოტა კვანტალიანმა, რეჟისორმა გიორგი გოგიბერიძემ, მწერალმა გიზო თავაძემ ახალი ინფორმაცია მოგვაწოდა, რომ გადაწვეტილია ქუთაისში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს რეზო ჭიჭიჭილის სახელი.

სასიამოვნოა, რომ ამ შეხვედრას სტუდენტების მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია. „გადანახული ჩანაწერების“ შესახებ საკულისხმო რეცენზიები წაიკითხეს ქართული ლიტერატურის სამეცნიერო წრის წევრებმა ხატია კვერცხაძემ, თამთა შავიანიძემ და ირმა ძნელაძემ.

შეხვედრის დასასრულს აუდიტორიას სამადლობელი სიტყვით მიმართა რეზო ჭიჭიჭილის მეუღლემ მარინა ვერულაშვილმა. იგი სიხარულის ცრემლებს ვერ მალავდა ამ შესანიშნავი ღონისძიების გამო, კარგა ხანს რომ გაგრძელდა, დაღლა რომ არავის ეტყობოდა, დარბაზი ისევე სავსე რომ იყო და, რაც მთავარია, ღია ფანჯრებიდან ქარი ისევე უბერავდა, დარბაზს ქარავე „ქარების ქალაქის“ უკვდავი ავტორის სულით.

გია ხოფერია

რეზო ჭიჭიჭილის „გადანახული ჩანაწერები“

იხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება. ილია ჭავჭავაძე

რ.ჭიჭიჭილის „გადანახული ჩანაწერები“ უაღრესად საინტერესოა მკითხველისათვის, როგორც ლიტერატურული, ისე ისტორიული თვალსაზრისითაც. აღნიშნული მოგონებები დატვირთულია ბევრი ცხოვრებისეული წერილმანით, აქ იკითხება ავტორის ყოველდღიური ცხოვრების ნიუანსები, მისი გუნება-განწყობა, თუმცა მასში, როგორც ისტორიულად ღირებულ დოკუმენტში, ეპოქისდროინდელმა მოვლენებმაც პოვა ასახვა.

მოგონებათა ავტორს მოღვაწეობა უხდებოდა მე-20 საუკუნის საქართველოში. აღნიშნული საუკუნე კი აღსავსეა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს ქართველი ერის ისტორიაზე და დიდწილად ჩვენი ქვეყნის მომავალიც კი განსაზღვრეს.

აღნიშნულ ხანაში საქართველო საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაშია, ეს ფაქტი კი, რა თქმა უნდა, აისახა საზოგადოებაში არსებულ ყველა სფეროზე, მათ შორის ლიტერატურაზეც. რ.ჭიჭიჭილის მოგონებებიც მე-20 საუკუნეშია შექმნილი და მასში, რასაკვირველია, მჭიდვანდება ავტორის იდეოლოგია და დამოკიდებულება ეპოქისდროინდელი მოვლენებისადმი.

მოგონებათა ავტორი პირველ რიგში სასტიკი ცენზურის არსებობაზე ამახვილევს ყურადღებას. „ჩვენს ფილმზე ყველა ერთხმად კითხულობს - როგორ მოხდა რომ გაუშვეს?“ - წერს ის. რ. ჭიჭიჭილს, გულს უკლავს და სტიკივა ეროვნული

სატკივარი. ის წუხილს გამოთქვამს თავისუფლებაწარმოებული, დაპროგრამებული ქართველი ხალხის გამო და წერს, რომ მათ ყველაფრის თქმისა ემინათ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ვითარებისა, ავტორი მაინც არ კარგავს უკეთესი მომავლის რწმენას და წერს: „მოვა დრო და მეტის უფლებას მოვიპოვებთ, თუმცა ეს დრო ძალიან ნელა და ძნელად მოდის“.

რ. ჭიჭიჭილი მოგონებებში გარკვეულწილად თავის შემოქმედებასაც ეხება. ის აღწერს „მეოთხე სიმფონიის“ შექმნის პროცესს. როგორც ირკვევა, მოგონებათა ავტორი შემოქმედებითი წვის პროცესშიც კი არ ივიწყებდა სამშობლოს საგალალო ყოფას და სწორედ ეს იყო მიზეზი იმ სევდისა, რომელმაც სრულიად მოულოდნელად, პირდაპირ წერის პროცესში იფეთქა მის გულში „ნეტავ ვის ხელშია კაცობრიობის ბედი?“ - წერს ავტორი და შემდეგ იმედით ამატებს. „მართლა ღვთისა და ამით ანაბარა ხომ არ ვიქნებით მოტოვებული ამოდენა სამყაროში“.

რ. ჭიჭიჭილი აფასებს შეუღლებად და გულწრფელად წერას, თუმცა, როგორც მოგონებებიდან ირკვევა, ეს შეუძლებელი იყო სტალინის სიცოცხლის პერიოდში და შემდეგაც. ავტორი აღწერს 1948 წლის მოვლენებს, ხალხის გაძაღლებულ ყოფას და გაკვირვებას გამოთქვამს ქართველთა უგუნურობის გამო, ის გულწრფელადაა გაოცებული, რომ ყველაფრის მიუხედავად მანქანებში მაინც სტალინის სურათები პქონდათ გამოკრული:

„სანამ ჩემი თაობაც არ ჩაბარდება მიქელ-გაბრიელს, საშველი არ იქნება... ჩემი თაობაც გატენილია სტალინისტებით“ - წერს ის.

რ.ჭიჭიჭილის მიხედვით, მისი მოღვაწეობის ხანაში საქმიანობა გაუხდათ ქართველთა სარწმუნოებაც. ამის დასტურად მას მ.ჯავახიშვილის „ჯავახის ხიზნები“ მოყავს და წერს, რომ ეს შთამბეჭდავი მოთხრობა უნიჭო მოთხრობის სახელით მონათლეს ერთადერთი ფრაზის გამო: „ისევე დაეუღლებუ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ზევისთავი“.

ავტორს ყოველ ახალ ჩანაწერსა თუ დღიურში უფრო და უფრო ეძაღება სიმართლის თქმის სურვილი. ის ტალახის სახელით მოიხსენიებს არსებულ ვითარებას და ამ წუძქედან თავის დაღწევის ერთადერთ გზად სიმართლეს მიიჩნევს: „უნდა გადადოს კაცმა გვერდზე ყველაფერი და დაწეროს სიმართლე... ეს ამოგვათრევს ტალახიდან“.

საქართველო რომ ღვინის სამშობლოა ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. რეზო ჭიჭიჭილის მოგონებებში სხვა საკითხებთან ერთად ამ საკითხზეც არის გამახვილებული ყურადღება. ავტორი წერს ღვინის აკრძალვის საფრთხის შესახებ და იმედს გამოთქვამს, რომ ეს მხოლოდ საფრთხედვე დარჩება: „მართლაც, რამოდენა ადგილი უჭირავს ვაზს ჩვენს, ქართველთა სულიერ ცხოვრებაში, ვინ აყენებს კიდევ ჩვენსავით ამ იმპერიაში ღვინოს?“ - წერს ავტორია და თვლის, რომ ღვინის აკრძალვა იმისთანა ლახვარი

იქნება ჯერ, რომ არ მოგვსწრება იაო.

რეზო ჭიჭიჭილი ცხადად ხედავს და სწორად აფასებს ეპოქისდროინდელ ვითარებას, თუმცა ის მაინც ამჟღავნებს მისთვის ჩვეულ ოპტიმიზმს. „ვერ მოგვსპეს, ვერ გადაგვაშენეს, ვერც გადაგვაშენებენ, გვიძირკვავენ, მაგრამ ვერ ამოგვიძირკვავენ“ - წერს ის და ამ სიტყვებით ამჟღავნებს იმედს - როგორც ილია წერდა „აწმყო თუარა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“ და რომ ჩვენ შევინარჩუნებთ ყოველივეს, რაც ეროვნულია.

„ჩანაწერების“ ავტორი უკეთესი მომავლის შემქმნელებად ნ.დუმბაძისა და ელდარ შენგელაის მსგავს მოღვაწეებს მიიჩნევს. ის გაბატონებულ იდეოლოგიას ლიტერატურის მარადიულობას უპირისპირებს და წერს, რომ ქართული პროზა არასდროს არ დამთავრდება: „დუმბაძეს სხვა მოკვება და ასე ერთად თუ ცალცალკე გაკვადებით, გავალთ სცენიდან, სამაგიეროდ ქართული პროზა არ დამთავრდება არასდროს“.

მეტად ღრმად რ.ჭიჭიჭილის სევდა. ილიას, აკაკის, ვაჟას სევდის მსგავსი და შეიძლება უფრო სიღრმისეულიც, რამეთუ მათი მოღვაწეობიდან საუკუნის გასვლის შემდეგაც კი კვლავ სავალალოა ქვეყნის ყოფა და მოგონებათა ავტორი ამის ცოცხალი მოწმეა. ის ცდილობს თავისი შემოქმედების საშუალებით რაღაც სასიკეთოდ შეცვალოს ქართველი ერის ცნობიერებაში, თუმცა ამას დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება, ის კი სულ უფრო და

უფრო მეტად გრძობს სიკვდილის მოახლოებას და ეს მჭიდვანდება მის რიტორიკულ შეკითხვაში: „მაინც რამდენი აპრილი დაგვრჩა კიდევ?“

რ.ჭიჭიჭილის სიცოცხლე ისედაც სევდაა, რადგან სამშობლო გასაჭირშია, თუმცა სიკვდილის საიხლოვის გრძობა მაინც გაურკვეველ ემოციებს აღძრავს მასში, რადგან, თუ მოკვდება, იმ ცოტასაც კი ვეღარ გააკეთებს სამშობლოსათვის, რასაც აკეთებდა.

ამ საკითხის განხილვისას გოლერძი ჩოხელის გენიალური სიტყვები მახსენდება: „სიცოცხლე სევდაა - ადამიანად ყოფნით გამოწვეული სევდა, სიკვდილიც სევდაა - ადამიანად არყოფნით გამოწვეული სევდა“.

მოგონებათა ბოლო ნაწილში ავტორი მსხვერპლის პოზიციაში გვევლინება, ის მზადაა საკუთარ თავთან ერთად მთელი თავისი თაობაც მსხვერპლად შესწიროს სამშობლოს, რადგან ხსნა მხოლოდ მომავალ, ახლებურად და პროგრესულად მოაზროვნე თაობაშია: „ფიქრობდი, ეს უფროსი თაობა გადავა და იმ გარეწრის კულტიც მიცხვრება-მითქმევი, სანამ ჩემი თაობაც არ ჩაივლის საშველი არ იქნება“ - წერს ის.

რეზო ჭიჭიჭილმა თავისი ჩანაწერების საშუალებით გააცოცხლა სიმართლეს, სიმართლე, რომელიც უკვე მიითვალა ისტორიის ფურცლებში.

ირმა ძნელაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის მე-3 კურსის სტუდენტი

ეთნოგრაფიული აქსპედიცია მართის ხეობაში



2018 წლის 15-28 ივლისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული; ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა და პედაგოგიური ფაკულტეტების, ტურიზმის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან ერთად ეთნოგრაფიული ექსპედიციით ვიმყოფებით შუახევის თემში, მართის ხეობაში. ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის უცხო არაა სტუდენტებისათვის სავალდებულო, სასაწავლო-პარაქტუკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის ხელის შეწყობა. აღნიშნულ სავალდებულო ღონისძიებათა რიგისაა ყოველწლიური ეთნოგრაფიული ექსპედიციები. „იცი რა დიდ საქმესაც აკეთებ და ქვეყნისთვის სასარგებლო კვლევის წილიანობა კმაყოფილებას გვგვრის“, ხშირად უთქვამთ და გამოიყენება კიდევ სამოქმედოდ (უნივერსიტეტი აფინანსებს მგზავრობის, ცხოვრების და კვების ხარჯებს) ხელმძღვანელობიდან ჩვენგან გაუღებელი მათეული მიდგომა.

მადლობა მომავალშიც ეჭვგარეშე თანადგომისთვის!
ექსპედიციის ოცდახუთკაციან ჯგუფს გვიმასპინძლა შუახევის მუნიციპალიტეტის მერამ. გასაოცარი მზუნველობით, ჩვენი საქმიანობის არსის სრულად გაცნობიერებით უზრუნველყო ექსპედიციის წარმატებული მიმდინარეობა მერამ, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, მეგობრობაში გამოცდილმა ბატონმა ფრიდონ ფუტკარაძემ. „აჭარაში ამბობენ სახლის კარი მაშინ იღება სტუმარი რომ მოგდისო“. ამბობენ, გრძობენ და საქმის, საკუთარი მხარის, ბატონი ფრიდონის პატივისცემით დღე და ღამ გვერდით გვედგა ბატონი სულიკო ფუტკარაძე, მართის ხეობის სოფლების გამგებლები, ადგილობრივი მკვიდრები. მუდამ ვგრძნობდით ქალბატონების, რუსადან შავაძის და თამარ ხიმშიაშვილის ყურადღებებს, სანთელს დაანთებ და სული ნათელია. ქართული ვახის მტვერები შეგძახებენ: ჩვენი ისტორია ჩვენვე გვაწერია! მიწაში ჩაფლული ქვევრები გვიხმობენ ღვინო დავადღუდო, დალიეთ რა ტკბილია! ვისაც არ სჯერა ეს მიწა ქართულია, ის საქართველოს მტერი და მაცდურია“ (მთხრობელი, მ. მაკარაძე, ოლოდაური).

დღეებს. მოგვიანხულა და მადლიერება დაადასტურა შუახევის მაჟორიტარმა დეპუტატმა, პარლამენტის წევრმა ბატონმა ანზორ ბოლქვაძემ.

გმადლობ მეგობრებო! აფერუმ თქვენ, ქართულობის გადამრჩენელო აჭარლებო! ექსპედიციის მონაწილეები მახალაკიძეებში, პაპოშვილებში, ერდვათში, კარაპეტში, ოლოდაურში, მანჯვალაში, დარჩიძეებში, შუბანში, გორში, ნიგაზულსა და მთაჩორში იწერდნენ საინტერესო ყოფითი, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველ (ბუნებრივ გარემოცვაზე; სოციალურ ყოფაზე; წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზე; მატერიალურ და სულიერ კულტურაზე; რწმენა-წარმოდგენებზე; ხალხურ ჩვეულებით სამართალზე; თამაშობებზე; შელოცვა-გამოლოცვებზე; ხალხურ კალენდარზე... თუ რა გავლენა მოახდინა აჭარის გამაჰმადიანებამ, ურთულესმა პოლიტიკურმა რეალობამ და თანამედროვეობამ საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში არსებულ ყოველივე ქართულზე) მასალებს. ექსპედიციის წევრთაგან ჩაწერილი ტექსტები საინტერესოა, უტყუარი წყაროა არა მარტო ეთნოგრაფიისთვის, და ისტორიკოსთათვის, ფოლკლორისათვის, დიალექტოლოგიისთვის, სოციოლოგიისთვის, ფსიქოლოგიისთვის, მედიცინის მკვლევართათვის, ტურიზმის სფეროთი დაინტერესებულთათვის... ბევრი ახალი და უცნობი მასალა საშუალებას მისცემს სტუდენტებს, ქართველოლოგიის დარგის მკვლევრებს საინტერესო კვლევები წარადგინონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე.

ჩვენი რესპოდენტების უმრავლესობა თავისი ცხოვრების წესით უსახელო უფლისციხელები არიან. ისინი თავიანთი ცხოვრებით ემსახურებიან სამშობლოს, აძლიერებენ საკუთარ კუთხეს. მადლიერებით მოვიხსენებთ უკლებლივ ყველა რესპოდენტს. არ შეიძლება დაგვაიწიწე-

დეს ხელოვანი ავთანდილ დარჩიძე, რომელიც სოფელ-სოფელ ეძებს ხალხური მუსიკის ნიმუშებს და იწერს მათ, უნახავს შთამომავლობას. სამი საუკუნე უცხოებაში თვითგადარჩენილი ეს მხარე სამაგალითოა თავისი ტოლერანტობით, თითქმის ყველა ოჯახი ქრისტიანი თაობებისგან და მუსულმანი ბებია-ბაბუისაგან შედგება, მათი მხარეული მიხედვით, რომ ღმერთი მართლაც სიყვარულია: „მთას რომ ესტუმრები, ყველა გეფერება, ყველას მობრძანდები სახეზე აწერია. ქარ-ცეცხლ გამოვლილი მთის მიწა შეგძახებს, ჩვენი ისტორია ჩვენვე გვაწერია. წმინდა გიორგის ეკლესიას

ესტუმრები, სანთელს დაანთებ და სული ნათელია. ქართული ვახის მტვერები შეგძახებენ: ჩვენი ისტორია ჩვენვე გვაწერია! მიწაში ჩაფლული ქვევრები გვიხმობენ ღვინო დავადღუდო, დალიეთ რა ტკბილია! ვისაც არ სჯერა ეს მიწა ქართულია, ის საქართველოს მტერი და მაცდურია“ (მთხრობელი, მ. მაკარაძე, ოლოდაური).

მასპინძლების წყალობით მოვიანხუდეთ თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი, მკვიდრი მოსახლეობის ეთნოგრაფიული მუხეუმი, მუხლი მოვიყარეთ და პატივი მივაგეთ დიდი ქართველის სეღიმ ხიმშიაშვილის და ღომან ფეხელი ქარცივაძის საფლავებს.

ხემოქმედების სხვადასხვა მანქანების მიუხედავად საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული თვისებები, ეთნიკური თვითშეგნება შენარჩუნდა მკვეთრად გაცნობიერებული ეთნოგრაფიული იდენტობით, უცხოურზე მიუდრეკილობით. ამ ფონზე ექსპედიციელთა შთაბეჭდილებები, ფიქრები: აჭარელთა გადატანილი თავგანწირვა სამაგალით უნდა იყოს მთელი საქართველოსთვის; ყურადღება უნდა მიექცეს ქართული სოფლების გაძლიერებას. მისი მოსახლეობისგან არდაცლას; ტრადიციების და ქართული ცხოვრების წესის გადარჩენას. ექსპედიციის ყველა წევრისთვის მთავარი გასწავლადი ჩვენ მიერვე მიკვლეული ქართველთა ყოფის და კულტურის ამსახველი მასალებია. ექსპედიციის სახელით:

*ასოცირებული პროფესორი
დავით შვეანიძე
ასისტენტ პროფესორი
ლუიზა ზაჭაპურიძე
მასწავლებელი -
ფიქრია ჭაბუკიანი*



ხ ა ც ი ო ქ რ ო ჯ ი რ ი



აქ არ ვსაუბრობთ ვიღაც უცხოზე, ჩვენივე უნივერსიტეტის პროფესორ ოთარ ჭუმბურიძის შესახებ გვსურს გავამახვილოთ ყურადღება. რაც კარგი აქვს ადამიანს, ის არ უნდა დაუკარგოთ. პირიქით, სწორედ იმ კარგს უნდა ვტაცოთ ხელი და სამზეოზე წამოვიწიოთ. მე, პირადად, ბ-ნი ოთარის სხვა უნარებზე ამ შემთხვევაში არ შეგჩერდება, თუცა მისი ბევრი თვისების შესახებ შემიძლია, დავწერო. ჩვენ ზომ სტუდენტობიდან ერთად მოვიდვართ!

მოკლედ რომ ვთქვათ, ბ-ნი ოთარი საუკეთესო ორატორია. ის არის ადამიანი, რომელსაც კარგად ეხერხება საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა. არის მჭევრმეტყველი, სიტყვატკბილი, ალერსიანად მოლაპარაკე, ენაბარაქიანი, ენაწელიანი და ოქროპირი — „IV საუკუნის კონსტანტინეპოლის არქივისკოპოსის იოანე ოქროპირის მეტსახელის მიხედვით“ (ქეკელი, ტ. VI, გვ. 83).

ლაპარაკის დროს ბ-ნი ოთარს სიტყვა არ უწყდება, პირიქით, მისი ლექსიკური ერთეულები წყაროს წყალივით მორაკრავებს. აქვს ამაღლებული მეტყველება. სა-

უბრისას ის იყენებს საგანგებოდ შერჩეულ მხატვრულ ენობრივ საშუალებებს. თავისი გამოსვლით ზემოქმედებას ახდენს ადამიანის გონებასა და გრძნობებზე. მის წარმოთქმულ წინადადებებს ახასიათებს ენის სიზუსტე, სისწორე და სიცხადე. ის იცავს გრამატიკაში არსებულ მართლმეტყველების კანონებს. მისი გამოსვლა ადვილად გასაგები და საინტერესოა აუდიტორიის თითოეული წევრისათვის. ის სათქმელს საინტერესოდ გადმოცემის მაღალი ოსტატობით აღწევს. ახდენს უდიდეს შთაბეჭდილებას. სადაც კი გამოდის, აუდიტორიას იპყრობს, აცოცხლებს დარბაზს, ამბობს განსხვავებულ სიტყვას, აგნებს სათქმელს და, რაც მთავარია, იცავს რეკლამენტს. იცის ზომა-წონა, საუბრობს დინჯად. ზომიერი, თბილი, ყოვლისმომცველი და თანაც საინტერესო ფაქტებით გაჯერებული გამოსვლით ბ-ნი ოთარი მიზანსაც იპოვებს. ასე ვთქვათ, ის არა მარტო ენამწვერი და ენამეტყველია, არამედ — ენამოთაფლელიცაა. ამიტომაც აუდიტორიასთან სწრაფად ამყარებს კონტაქტს. მსმენელს

სურს, მისი გამოსვლა დიდხანს გაგრძელდეს.

ბ-ნი ოთარის ასეთი უნარი ქართველებისათვის გასაკვირიც არ არის. ორატორულ მეტყველებას საქართველოში უძველესი დროიდანვე ექცეოდა ყურადღება. საჯარო გამოსვლები იზრდებოდნენ კოლხეთის აკადემიაში IV საუკუნეში, ნეკრესისა და ბოლნისის ტაძრებში IV—V საუკუნეებში, გელათისა და ივალთოს აკადემიებში — XII საუკუნეში და სხვა. აღმაშენებლობით განვითარდა მჭევრმეტყველება XVIII საუკუნიდან. „დიდი ორატორული ნიჭის პატრონი ყოფილა იმერთა მეფე ფარსმანი, რომელსაც თავის „ანალებში“ იხსენებს I საუკუნის რომელი იმპერატორი კონრელი ტაციტუსი“, — წერს მკვლევარი ვ. ფვანია.

ისტორია ბევრ ენამწვერს და ენამოთაფლულ ტოლუმბაშს იცნობს. თამადაობის ხელოვნებაზე არაერთი მონოგრაფია, სახელმძღვანელო, ბროშურა და საგაზეთო სტატია შექმნილა. სპეციალური ლიტერატურაში შემონახულიცაა საუკეთესო თამადაობის სახელები, რომელთა ჩამოთვლას აქ არ ვაპირებთ, მაგრამ იმას კი ვიტყვით ჩვენს პერსონაჟზე, როგორც საუკეთესო თამადაზე, რომ ის ი. კვესელავას, ა. შარაშენიძესა და ა. დავითაძეს ორჯერ ჰყავთ მოხნიებული თავიანთ წიგნში „ქართული სუფრა (სადღვერძელოები, თამადაობის კოლორიტები)“, თბ., 2008, გვ. 195 და გვ. 218. ავტორები ორ თავში „XX— XXI საუკუნეების საუკეთესო თამადაობა და იმერეთში ცნობილი კოლორიტებსა და თამადაობა“ ჩვენ თამადად გვინახავს არაერთ ხალხმრავალ ქორწილში, სადაც მოწვეული სტუმრები სიმოვნებით უსმენდნენ და უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ მის მიერ წარმოთქმული საღვთოძელოებისა და სუფრის ხელმძღვანელობისათვის. ამ დიდ წარმატებას ბ-ნი ოთარი იმითაც აღწევს, რომ

ახალგაზრდობიდანვე უყვარს პოეზია, ზეპირად იცის უამრავი ლექსი და თავის გამოსვლებში გულუხვად იყენებს შესაბამის ნაწევრებს ქართული მწერლების შემოქმედებიდან. ეს კიდევ მეტად აშკვენებს ბ-ნი ოთარის მხატვრულ ენას.

ბ-ნმა ოთარმა თავისი ტკბილი ქართულით მოქარაგა პროფ. რევაზ მიშველადის საიუბილეო სადამო ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, რასაც დამსწრეთა მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა. ამავე თეატრში მან შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილების ხელმძღვანელს, საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო მწერალსა და სხვა უამრავი რეკალიის მფლობელს, ბ-ნი თემურაზ ლანჩავას დაბადების დღისადმი მიძღვნილ საიუბილეო სადამოზე. ამ სიტყვამ გააღამაზა ეს დღე და იქ დამსწრე საზოგადოებას სიყვარულისა და პატივისცემის სითბო ჩაუღვარა გულში. ბ-ნმა ოთარმა დაამწვენა პროფ. აკაკი კუჭუხიძის იუბილეადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამო ჩვენს უნივერსიტეტში. დიდი ოვატია გამოიწვია ბ-ნი ოთარის წარმოთქმულმა სიტყვამ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე უნივერსიტეტის დიდ დარბაზში...

ბ-ნი ოთარის გამოსვლა სასიამოვნო მოსასმენია საზოგადოება „ქუთაისელითა“ და საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის შეკრებებზე. საზოგადოებას არ დაავიწყდება ამა წლის 23 ივნისს „ქუთაისელითა“ სააქტო დარბაზში ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი თავმჯდომარის, ქ-ნი


მაყვალა გონაშვილის შემოქმედებით სადამოზე ბ-ნი ოთარის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც მქუხარე ტაშით დაჯილდოვდა პუბლიკის მიერ და, რომელიც დიდად მოიწონეს თბილისელმა სტუმრებმა, ქ-ნი მაყვალას დღე-ღამის წვერებმა: ვეფლასათვის საყვარელმა კომპოზიტორმა, ვაჟა აზარაშვილმა და მისმა მეუღლემ, პოეტმა მანანა დანგაძემ, სუბიშვილების ანსამბლის I თაობის წამყვანმა სოლისტმა, რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებულმა არტისტმა ომარ მხეიძემ, ამავე ანსამბლის სოლისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თენგიზ ურთმელიძემ, მსახიობებმა და საზოგადოების დირსეულმა სხვა წარმომადგენლებმა.

ერთი სიტყვით, ამ ღონისძიებაზე თავისი ორატორული ნიჭით ქ. ქუთაისის ასახელა და თვითონაც თავი გამოიჩინა ბ-ნმა ოთარმა. რამდენი და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ასე ყოფილა დასაბამიდან. ხალხური ანდაზა გვეუბნება: „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. ჩემი საყვარელი თანაკურსელების: თემურაზ ლანჩავასა და ავთანდილ ნიკოლეიშვილის გულითადად და უპირველესმა მგობარმა ოთარ ჭუმბურიძემ სტუდენტობისდროიდანვე შეისისხლხორცა მათი საუკეთესო თვისებები და ასე სიკეთის ქმნასა და ენაშეობაში სამოცდაათსა და გადასცდა. მალე ბ-ნი ოთარს დაბადების დღე აქვს. წინასწარ ვულოცავთ და პოეტ ირმა ქურას-პედიანის ლექსიდან „ოთარ ჭუმბურიძეს“ ნაწევრებით მივმართავთ: „სადაც შენა ხარ, სიტყვა

ხმანობს, გაიქარიშხლეს თითქოს ქარებსა, მრავალჟამიერ, სიტყვაშხიანო, შენი სიცოცხლე და მქუხარება“...
ასე მხნედ, ყოწადად და საუკეთესო განწყობით ყოფნას ვუსურვებთ მრავალჟამიერ.

იზოლდა რუსაძე

სიმონ ჰაპიძე-85



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ დოქტორს, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს და გამომგონებელს. 126 სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი სახელმძღვანელოს ავტორს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა.

სიმონ ჰაპიძე დაიბადა საჩხერის რაიონის სოფ. კობოულში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

1953 წლის 1 სექტემბერს იგი უგამოცდოდ ჩაირიცხა ს.მ. კიროვის სახელობის საქართველოს

პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე (ლითონების წნევით დამუშავების სპეციალობით).

მაღალკვალიფიციური და ტექნოლოგიური პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ დღევანდელ იუბილარს. მარტო რამდენიმე გვარის დასახელება საკმარისა ამის დასამტკიცებლად, აკადემიკოსები: ფ.თავაძე და ნ.ლანდა; აკადემიის წევრკორესპოდენტები: დ.ერისთავი, ლ.ოკუეი.

წარმატებით დაამთავრა რა სპი-ს მეტალურგიის ფაკულტე-

ტი, ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებელმა კომისიამ გაანაწილა ახლადამუშავებულ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სამკვლევო საამქროს ოსტატად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიმონ ჰაპიძეს აკად. ფ.თავაძის წარდგინებით ტოვებდნენ ასპირანტურაში, რაზეც ბატონი სიმონი არ დაეთანხმა. მოტივაცია იყო არგუმენტირებული იმით, რომ საინჟინრო საქმის ფრიადებზე სწავლას სჭირდებოდა საინჟინრო პრაქტიკის მიღება. ბატონი სიმონის ამ სწორმა ნაბიჯმა განსაზღვრა მისი შემდგომი ბედი და წარმატება სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით.

მეტად ნაყოფიერი და შედეგაანი იყო სიმონ ჰაპიძის მოღვაწეობა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. აქ მან გაიარა რთული, მაგრამ ძალზე საინტერესო გზა ოსტატადან ტექნიკური კონსტრუქციის განყოფილების ხელმძღვანელამდე. ამ შუალედში ის მუშაობდა: ოსტატად, ინჟინერ ტექნოლოგად, ინჟინერ კონსტრუქტორად და ტექნიკური კონსტრუქციის განყოფილების გამგედ. პარალელურად სწავლობდა სპი-ს დაუსწრებელ ასპირანტურაში.

1965 წლიდან სიმონ ჰაპიძე აკად. ფ. თავაძის წარდგინებით იწყებს ლექციების კითხვას სპი-ს ქუთაისის ფაკულტეტზე, ტექნიკურ

რი მექანიკის კათედრაზე. კათედრის გამგედ მუშაობს ტექნიკურ მეცნიერებათა ახალგაზრდა დოქტორი, აწ განსვენებული კონსტანტინე აკაკის ძე იმედიაშვილი.

სიმონ ჰაპიძეს ამის შემდეგ უწყევს გაორმაგებული სამეცნიერო მუშაობა: სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულებით. ამ ორი მიმართულებით მის მუშაობაზე კარგ შთაბეჭდილებას შეგიქმნით, თუ გაეცნობით მის სამეცნიერო ნაშრომებს. მისი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა ორივე მიმართულებით 126-ს ითვლის. მათი 70% მოხსენებულა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ ტექნიკურ კონფერენციებზე.

სიმონ ჰაპიძემ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია 1976 წელს სპი-ს სამეცნიერო საბჭოს სხლამაზე. დისერტაციის თემა: სატვირთო ავტომობილის უკანა ხიდის წამყვანი და მიმყოფი კბილანების ფოლადების სიმტკიცის მახასიათებლების ამღლება, დამუშავებული იქნა ახალი მარკის ლეგირებული და საკონსტრუქციო ფოლადები, რომელთა გამოყენებამაც ავტომობილის უკანა ხიდის რელექტორში აღკვეთა კბილანების კბილების ამოტეხვა და ცვეთა შეამცირა რამდენჯერმე. მისი

სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ფერდინანდ თავაძე. რის შედეგადაც გაიზარდა ავტომობილის ხანგამძლეობა და საიმედოობა. სი-ახლე დაინერგა საქართველოს და საბჭოთა კავშირის ყველა საავტომობილო ქარხანაში. მათ შრის მოსკოვის საავტომობილო ქარხანაშიც, *ЗИЛ*-ის მარკის სატვირთო ავტომობილების წარმოებაში.

პროფესორი სიმონ ჰაპიძე ამ სოლიდურ ასაკშიც ახალგაზრდული შემართებით მოღვაწეობს, როგორც სამეცნიერო, ისე სამეცნიერო პედაგოგიურ ასპარეზზე.

ერთ საგაზეთო სტატიამ შეუძლებელია გადმოსცე ბატონი სიმონის ნაღვაწის შესახებ 60 წლის განმავლობაში. ვუსურვებთ ბატონ სიმონ ჰაპიძეს კვლავ ახალგაზრდული შემართებითა და ენერგიით ეღვაწოს ჩვენი ქვეყნისა და ახალგაზრდობის სასარგებლოდ. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

*საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი
ამავე უნივერსიტეტის
მექანიკა-მანქანათმშენებლობის
დეპარტამენტი*

როცა საბიზარი თავს აღარ მალავს

მასწავლებლები, სპეციალისტები, სასკოლო ცხოვრებაში მეტნაკლებად ჩახედული ადამიანები პირად საუბრებსა და სოციალურ ქსელებში ღიად საუბრობდნენ სასკოლო სახელმძღვანელოების საკონკურსო წესით შერჩევისა და გრიფირების პროცესის მიკროდოკუმენტობასა და სუბიექტურობაზე. მართლაც და, სკოლისა და მილიანად საზოგადოებისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი, ვიტყვით, გადამწყვეტი საძირკველი და ბალანსი, არაკომპეტენტური ექსპერტების, მათზე უფრო მაღლა მდგომთა უჩინარი ხელით შენიღბულად, გასაიდუმლოებულად, მერკანტილური გარიგებებით რომ იმართებოდა, ეს უკვე ცხადად გამოჩნდა ამ ბოლო დროს. გაძინდა სოციალურ ქსელებსა და ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებულ გამოხატულებებსა და მამხილებელ სტატიებში, უპირველესად ვგულისხმობთ პროფ.ნათელა მალაქაძის სტატიას „ქართული კითხვა ბავშვმა ქართული მწერლობით უნდა ისწავლოს“ (იხ. ახალი განათლება, 13.09.-19.09.2018).

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სანაქებოა გაზეთ „ახალი განათლების“ გამოვლიანობა და პრინციპულობა, გაზეთისა, რომელიც, მეტნაკლებად, ადრეც, როცა განსხვავებული აზრისათვის ადამიანებს კეთროვანებად ნათლავდნენ და დევნიდნენ, ახერხებდა განათლების სფეროში ტაბუდადებული თემების წამოწვევას და გასაჯაროებას (ასეთი შერისხულ „ნათელულებში“, რამდენიმე წლის წინათ, ამავე გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო, თქვენი მონა-მორჩილიც მოხვდა).

დღეს კი, ისეთი მწვავე და განათლების სფეროში დამკვიდრებული საყოველთაო სატკივარზე ხმადაღმა საუბარია, როგორც ეს პროფ. ნათელა მალაქაძის სტატიამა, არ მიკვირს, რადგანაც ყველა ვხედავთ, რომ განათლების ახალმა მიზნობრივმა, ბატონმა მიხეილ ბატიაშვილმა, როგორ გაბედულად ჩამოკრა საგანგაშო ზარებს და კულისებიდან ავანსცენაზე გამოიტანა (რასაკვირველია, ყველაფერი არა) ის ზადი და ნაკლი, რაც სამინისტროს სტრუქტურებსა და დანაყოფებში წლებია დაბუდებულია, განსაკუთრებით კონკურსებისა და გრანტების ობიექტურად გაცემის სფეროში, რამაც მოგვცა რწმენა იმისა, რომ, არ არსებობს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდეს, არც შუბი დაიმალება ხალხში და რომ, ადრე თუ გვიან, ყველას მოეკითხება. ამის ნათელი მაგალითია ქალბატონ ნ. მალაქაძის წემით დასახელებული მამხილებელი, საქმიანი, პროფესიონალური წერილი.

ვერ გავკანდიერდები, იურიდიულ შეფასებას ვერ მივცემ წემით ნახსენებ სტატიას, ერთს კი ვიტყვით: ჩვენ რომ მართლაც შემდგარი, სამართლიანი სახელმწიფო ვიყოთ, ქ-ნ ნათელა მალაქაძის სტატიის საფუძველზე ადვილი შესაძლებელია, შესაბამისმა სტრუქტურებმა მოკლევადიანი და მთელი რაოდენობის სტატიებიდან აშკარად, ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე, ჩანს, არა მარტო მიკროდოკუმენტი, სუბიექტური, არაკომპეტენტური დამოკიდებულება კონკურსისა და კონკურსანტებისადმი, არამედ კორუფციის ნიშნები...

სანამ უშუალოდ კონკრეტულ საკითხებზე გადავიდეთ, თავს ვაძღვებ ვთვლი განვაცხადო: პროფ. ნათელა მალაქაძის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია იმ პედაგოგიურ-სამეცნიერო სექტორისა, რომელიც საქართველო დამსახურებულად მეწინავეობდა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში. და, რომელიც, მე ვიტყვით, მიხილავდა, მიხილავდა ხელად გაანადგურა „ახალი დროის საქართველომ“, იმ დონემდე, რომ ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი, რადგანაც ასეთი სასწავლებლები ხელს არ აძლევდა განათლების სფეროში მოკალათებულ მათვას, სრულად მოიშალა მეთოდური სამსახურები, ხოლო მათი აღ-

გილი დაიკავა ე. წ. „სატრენინგო ცენტრმა“, გამოცდილი მეცნიერ-მეთოდისტები და საყოველთაოდ ცნობილი, მართლაც სახალხო მასწავლებლები, რომელთა ნაკლებობაც არასდროს განვიციდით, შეცვალეს, საეჭვო განათლების, ყოველ შემთხვევაში, პედაგოგის პროფესიისაგან შორს მყოფმა, საზღვარგარეთ ნაირფერ სერტიფიკატ მიღებულმა გოგო-ბიჭებში არიან, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ არც შეუღლიათ სკოლის კარები, ტყემალზე სხედან და ისე ექსპერტობენ განათლების სფეროს. დაუფარავად ვიტყვი: უკვე ათეული წლებია განათლების სფერო, თავსა და ძირში, არასპეციალისტის, არაპროფესიონალის, დილეტანტის და არაკომპეტენტური პიროვნებების, უფრო სწორად, ჯგუფების სამოქმედო ასპარეზად იქცა, რომლებმაც სკოლა, საერთოდ მთელი საგანმანათლებლო სივრცე „გამოშინეს“, ყოველგვარი მოტივაციისა და პროფესიული იდეოლოგიის გარეშე დატოვეს მოძველებული თაობები, ქუჩური ხანაითი მისცეს საზოგადოებისა და ერის ესთეტიკას (ქართველი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის კ. კაპანელის სიტყვებია) , რომლებიც ღანძრავდნენ და აგინებდნენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციებს, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ცხოვრების წესს და ა.შ.

ყოველგვარი ფამილარობის გარეშე მინდა განვაცხადო, რომ ქალბატონი ნათელა მალაქაძის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია ქართული მეთოდური მეცნიერების ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებლის, სიცოცხლეშივე მთელი გოგებაშვილად შტრაფხული, ცნობილი მეცნიერისა და მასწავლებლის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვალერიან რამიშვილის სამეცნიერო სკოლისა. ის, ბატონი ვალერიანის სხვა მოწაფეებთან ერთად, წლები თავაუღებლად მუშაობდა ქართული ენის, წერა-კითხვის სწავლების საკითხებზე, უძველესი სკოლის მასწავლებელია აღზრდა-დაოსტატების საქმეს და ერთ-ერთი იმ ორი თუ სამი მეცნიერებათა დოქტორებიდან, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში აქვთ საღვთო (ძველი საღვთო) დისერტაციები (დაცული). დღეს ეს სკოლაც არ არსებობს. ის კი არაა, სამეცნიერო შრომებსა და სილაბუსებში, „ახალი დროის ექსპერტები“ მოძველებულად მიიჩნევენ პედაგოგისა და მეთოდის კლასიკოსების (გოგებაშვილის, უხნაძის, თაღაკაძის, რამიშვილის...) დასახელებას. (სტატიის შესრულებული მოცულობა არ მაძლევს საშუალებას, თორემ ამის დამადასტურებელი ფაქტებსაც უხვად მოვიტანდი).

არ მინდა, წამებულ რაინდად შევრაცხო ქალბატონი ნათელა მალაქაძის, მაგრამ უსამართლობა იქნებოდა არ ვთქვათ, რომ ის უკომპრომისო იყო ყველა იმ ნაბიჯისა და გადაწყვეტილებისადმი, რომლებმაც ასე დააზიანა განათლების სფერო. ერთ-ერთი ასეთი იყო, რამდენიმე წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილება- ქართული ენის გრამატიკის, როგორც დამოუკიდებელი საგნის ინტეგრირება (უფრო სწორედ გაუქმება) ტექსტითან. მაშინ ქალბატონი ნათელა გამოდიოდა პრესით და აცხადებდა - ეს ნაბიჯი გამოუსწორებელ შედეგს მოუტანს სკოლასო. ყველაფერი კარგი ისე აგიხდათ, როგორც ეს ახლა: ამ უაზრო გადაწყვეტილებამ თითქმის ნულამდე დასცა მშობლიური ენის სწავლება. მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ ნაქარვეი ინტეგრირებით სახეზე გაქვს: - ენის უსისტემო სწავლება, ენობრივი მასალის ხელოვნურად „მიკრება“ ტექსტზე, სწავლებაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობის უკუღმართობა, მართლწერის აუცილებელი ელემენტალური საკითხების იგნორირება, რამაც, რბილად რომ ვთქვათ, სერიოზულად დააზიანა ახალგაზრდების

წერის კულტურა და მეტყველება. ერთი სიტყვით, ჩვენი ბავშვები ცუდად, ძალიან ცუდად წერენ და კითხულობენ (იხ. საერთაშორისო კვლევის შედეგები). ჩვენ კი, ყოველივე ამ უმსგავსობის მაყურებელი (და თანამონაწილენიც), თავს ფრთიანი გამოინათქვამით ვიმშვიდებთ- წყალნი წავლენ და წამოვლენ, კვიშანი დარჩებიან... დრო, ტაროსის დაწმენდა ყველას და ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩნისო. ეს შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ როდის?!

ახლა, როგორც ძველი ქართველი იტყოდა, პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. როგორც პროფ. ნათელა მალაქაძის თავის სტატიამ აღნიშნავს, სახელმძღვანელოს ავტორებმა თვით ტერმინ „დედაენის“ არსებობაც კი გარკვეული ეჭვის ქვეშ დააყენეს (ხაზგასმა ნ. მალაქაძისა - ვ. ა.). რასა გულისხმობს პატივცემული ავტორი, ახლავს მოგახსენებთ: საქმე იმაშია, რომ, ია იებით გადაპენტილი, ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილი სიტყვის- „დედა ენა“ მაკერ პატარებს მერხვე დახვედრათ წიგნები - პროზაული, უღაზათო, ყოველგვარ ემოციას მოკლებული სახელწოდებით: „ქართული“, „მშობლიური ენა“, „ქართული ენა და ლიტერატურა“, „დედაენის კვლევა“, „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (ასეთი სათაურით 1865 წელს, გამოსცა სახელმძღვანელო სრულიად ჭაბუკმა (25 წლის), სასულიერო სასწავლებლის რიგითმა მასწავლებელმა ი. გოგებაშვილმა), მაგრამ გადამუშავებულ სახელმძღვანელოს „დედა ენა“ დაარქვა. ეს წმინდა სახელი, რომელიც დედაბოძის, დედაძის, დედაქალაქისა და სხვა ამგვარი სიტყვების ანალოგიით არის შედგენილი, დედისა და სამშობლოს სიყვარულს დაუკავშირა დიდმა მასწავლებელმა.

პატივცემული ექსპერტები, რეცენზენტები და ავტორები, ქართველთა უპირველესი წიგნის სახელწოდების „დედა ენის“ თვალსაწიერადან გაქრობა, დავიწყება, მიხანმამართული ქმედება და უდიდესი მკრეხელობაა, რაზეც მოძველებული მკაცრად მოგაკითხაუ!

საგანგაშო ისიცაა, რომ ზოგიერთ ავტორ-მემდგენელს კითხვის ა და ი ასობგერებით დაწვებაც არ ეტოშება. ავიწყდებათ, რომ „დედა ენის“ ა და ი ასობგერებით დაწვებით. იაკობმა მიაგნო იმ საიდუმლოს, რომელიც „ამას ენას შინა დამარხულ არს“... როგორც ცნობილი ნოდარ დუმბაძე წერდა, სწორედ ამ საიდუმლოს აზიარა იაკობ გოგებაშვილმა ქართველი ბავშვები, თორემ ა და ი რომ ქართული ანბანში არსებობდა, ეს ფარნაჯიზიდან მოყოლებული ყველა ქართველმა იცოდა, ისიც იცოდა, რომ გაზაფხულის ლურჯთვალა ყვავილს ია ჰქვიადა, მაგრამ თუ მათი გვერდიგვერდ დგომა აი-ია ასე მარტივი, ასე კეთილზმობანი და ღვთიური მოსასმენი შეიქმნებოდა, მხოლოდ გოგებაშვილმა გაიგო, ოქროს გასაღებად დააღდა დედა ენას და უკვდავებად უანდერდა იგი ქართველ ბავშვებს.

დიდი იაკობის „დედა ენა“ მარტო წიგნი, ჩვეულებრივი სახელმძღვანელო არ არის, ის უწმინდესი და უნეტარესი სულიერი მოძღვარია, რომელიც ყმაწვილებს ყოველ დღე შეახსენებს, თუ ვისი გორისანი ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ(!).

მგონია, რომ საკონკურსო სახელმძღვანელოთა ექსპერტები დარწმუნებული იყვნენ, რომ სახელმძღვანელოთა ავტორები მათ „შემოქმედებას“, ნააზრევს საჯაროს არ გახდინდნენ და რაც მოდგათ ენას, თვით ყველაზე მკრეხელი აზრებიც კი, უშურველად გაიმეტეს „დასაბლოკი“ ავტორისათვის. მაგრამ მოხდა პირიქით, ერთ-ერთმა ასეთმა „გასაფუჭებელმა“ ავტორმა, პროფ. ნ. მალაქაძის კვლევა, გულწრფელად გაგაცნო ამ „ყოველისმოდინე“ ექსპერტმა ნააზრევი, სადაც, როგორც ხელის გულზე, ისე ჩანს, მათი დამოკიდებულება, უფრო სწორად,

სიძულვილი ქართული კულტურის, ქართული მწერლობისა და ყოველივე ქართული ყოფისადმი.

ესენი ის ექსპერტები არიან, რომელთაც აღიზიანებთ სახელმძღვანელოებში პატრიოტული ხასიათის ტექსტები (პატრიოტიზმი ხომ დიდი ხანია საღანძრავი სიტყვაა ლიბერლებისათვის), რომლებსაც ოდნავადაც არ ანადვლებთ, რომ ჩვენმა პატარებმა არათუ ზეპირად იცინან, არც კი გაუგონიათ (ეს ჩვენი სახელმძღვანელოების წყალობით) „სამშობლო ხევსურისა“, ეს ფიცმილებული სიყვარული თავისი მიწისა, რომელიც ისევე შეურყვნელია, როგორც ხევსურეთის მიწის გვირგინები... (ვ. კოტეტიშვილი). ქართულ სკოლაში, უკვე დიდი ხანია, ქართულის მასწავლებელი ბავშვებს არ საყვებურობს (ალბათ, ვერც ბედავს): - რა ვუთხრა ისეთ ქართველს, რომელმაც არ იცის „სამშობლო ხევსურისა“, ვინც ძილშია არ იმეორებს უკვდავ სტრიქონებს: „არ გავცვლია ხალხს კლდეებსა უკვდავებისა ხევსურისა“.

ქალბატონ ნათელა მალაქაძის სტატიამ მოყვანილი, ექსპერტთა შენიშვნების გამოწველივითი ანალიზი ალბათ გაზეთის ერთი ნომერიც ვერ ეყოფა, მაგრამ ზოგიერთი კურორტული შენიშვნის „გასამყარებლად“ (ნახევრად ხუმრობით) პატივცემულ ექსპერტებს დახმარებას ვთავაზობ: მაგალითად, ექსპერტებს არ მოსწონთ ფრაზა „ცუდი ამინდი“. ისინი წერენ რომ არსებობს ამინდის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება, ვიდაცას მოსწონს წვიმა და ქარი, ვიდაცას არ მოსწონსო.

პატივცემული ექსპერტები, დავესხებები დიდ სულხან-საბას ორბელიანს და შემოგთავაზებთ წვიმის სახელებს, იქნებ, რომელიმე გამოგადგოთ „ცუდი ამინდის“ სინონიმად: 1. ხორხორშელა - წვრილი და ხშირი სეტყვა; 2. ხომკაკალა - მსხვილი სეტყვა; 3. ჟუჟუნა წვიმა-ნელი და ხანგრძლივი წვიმა; 4. თინჯელა - ღრუბლის ნაჭური დრუბული ტირის. 5. დღეგმა-თავსხმა წვიმა; 6. ცრის - როცა ისე წვიმს, რომ არჩანს. 7. წინწკლეს - მსხვილი წვეთების წვიმა. 8. მზე პირს იბანს - თუ მზეა და თან წვიმს.

ჩემი სტატია საკმარის პეისიმისტური ეპილოგიით მინდა დაგამთავრო: კერძოდ, მზარავს გაფიქრება იმისა, რომ პირველ კლასში მოსულ პატარებს არ დახვდებით წიგნი საკრალური და ჯადოსნური სახელწოდებით „დედა ენა“, არაჟინ ეტყვის რომ შოთა რუსთაველი გენიოსი, გენიალური ქართველი პოეტი, (თურმე ბავშვი ვერ გაიგებს), არაჟინ წაუკითხავს მართლაც გენიალური საბავშვო მწერლის რ. ინანიშვილის „კრეკანას“ (თურმე ბავშვის უფლებებს არღვევს); არაჟინ წაუკითხავს ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ლეონიძის, გ. ჩოხელის პატრიოტული ხასიათის ლექსებსა და მოთხრობებს (თურმე მხატვრულად ძალიან სუსტია და ფასეულობით ღირებულებებზეა ორიენტირებული). ამავე დროს, ჩვენი პატარები ვერ გაიგონობიან დარგობრივ ტექსტს „საიდან ვიცით ჩვენი ქვეყნის ისტორია“ (ბავშვს არ აინტერესებს მსგავსი საკითხები). და კიდევ რამდენ რამეს ვერ წაუკითხავს, რადგანაც ყველა ეს „დაწუნებული“ ნაწარმოები და ტექსტი პროფ. ნ. მალაქაძის I კლასის სახელმძღვანელოდანაა, იმ სახელმძღვანელოდან, რომელსაც ასეთი უაპელოგიო ვერდიქტი გამოუტანეს ყოველისმემძლე ექსპერტებმა.

და ბოლოს, ეს ჩემი სტატია არც ვინმეს განქიქებაა და არც შექება. ის საყოველთაო სატკივარის გულწრფელი გაზიარებაა და ვფიქრობ, ობიექტური მკითხველიც სწორად გაიგებს.

კამბე ავალიანი
პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
 ასოცირებული პროფესორი
 გაზ. "ახალი განათლება"
 #27 09.03.2018

ქალბატონ ნინო მანგალაძის ნათელ ხსოვნას აძვნება 100 წლის იუბილს



კურსს მცენარეთა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში. 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები. 1954 წელს ამავე უნივერსიტეტში ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად პროფესორ ქსენია ცხაკაიას ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბადრიჯნისა და წიწკის საწარმოო ჯიშის ანატომიური და ფიზიოლოგიური დახასიათებისათვის“, 1956 წელს მიანიჭეს დოცენტის წოდება. 1970 წელს ქალბატონმა ნინო მანგალაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მიკროელემენტების გავლენა ბოსტნეულ მცენარეთა მორფოლოგიურ-ანატომიურ ნიშან-თვისებასა და ნივთიერებათა ცვლაზე“.

ნინო მანგალაძე ბრძანდებოდა ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი და ბიოლოგიის კათედრის გამგე ათეული წლების მანძილზე. იგი მრავალი წლის განმავლობაში იყო მიმღები კომისიის თავჯდომარე ბიოლოგიაში. მის სახელთანაა დაკავშირებული უნივერსიტეტში მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ჩამოყალიბება. აქ მან კვლევის უახლესი მეთოდები დანერგა და მრავალ ახალგაზრდას (ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები: რუსუდან თუთბერიძე, ანზორ ჭიჭინაძე, ნათელა ღვინიაძე და სხვა) გაუკვალა გზა მეცნიერების მწვერვალებსაკენ. პროფესორი ნინო მანგალაძე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით წარმართავდა უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს და სამეცნიერო კვლევით მუშაობას. ამ სფეროში გულგრილობასა და თავის არიდებას არავის აპატიებდა. ნინო მანგალაძე გარეგნობით, მანერებით, თავდაჭერილობით იყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სიამაყე და მშვენება. არსებობენ ადამიანები, რომელთა დავიწყება თითქმის შეუძლებელია. სწორედ ასეთ პიროვნებად დარჩა ნინო მანგალაძე ბელი ჩვენს მეხსიერებაში. ის მუდამ ემახსოვრებათ მის ყოფილ სტუდენტებს, რადგან ლექციებზე მათ წინაშე იდგა საგნის ღრმა ცოდნე და უზომოდ მოყვარული, საუკეთესო დიქციით შთამბეჭდავად ხსნიდა ახალ მასალას. ამას ემატებოდა მისი საუცხოო გარეგნობაც, გასხივოსნებული სახე, უნაკლოდ ჩატკეპლი, დიახ, ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნინო მანგალაძე იყო სამაგალითო ლექტორი. მისი ლექციები გამოირჩეოდა მეცნიერული სიღრმით, თანამედროვე პრობლემატიკით, სიახლით. სწორედ ამიტომ

იყვნენ სტუდენტები დაინტერესებულნი და მონიბლულნი მისი ლექციებითა და პრაქტიკული საქმიანობით. საინტერესო იყო ქალბატონი ნინოს დამოკიდებულება თავის აღსაზრდელებთან. მისმა ყველა სტუდენტმა იცოდა, რომ უცოდინარი ნიშანს ვერ დაიმსახურებდა. ნინო მასწავლებელს ძალიან უყვარდა ბეჯითი სტუდენტები. მკაცრი იყო შეფასებაში, მაგრამ უდიდეს სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა მისი თვლები, რომლებსაც მოეწონებოდა სტუდენტის მიერ მომზადებული საკითხები. სწორედ ქალბატონი ნინოს დამსახურებაა, რომ ვიწამეთ სიმართლე, სიწმინდე და სიღამაზე. „მასწავლებელთა მასწავლებელი“ ასე გვინდა ვუწოდოთ ქალბატონ ნინოს. ამ უმაღლეს შეფასებას მხოლოდ ერთეულები იმკიან. ქალბატონი ნინო კი ამ ერთეულებს მიეკუთნება. ჩვენი უნივერ-

ის თანამშრომლებზე მზუნველობითაც გამოირჩეოდა. ყველა ჩვენგანი უყვარდა, და თუ ვინმეს რაიმე გაუჭირებოდა გულწრფელად განიცდიდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. ეს ის თვისებებია, რომელიც ამკობდა, ალამაზებდა და საერთო ჯამში წარმოგვიდგენდა ისეთ ძლიერ პიროვნებად, რომელსაც ნინო მანგალაძე უბელოდებოდა. ჩვენს მეხსიერებას შემორჩა პროფესორი ნინო მანგალაძე, როგორც „ქალი ლეგენდა“, რომელზედაც დღესაც, ოცი წლის შემდეგ, სინანულით ვსაუბრობთ და მწუხარებით ვიგონებთ. უნივერსიტეტის ვრცელ დერეფნებში ამ მშვენიერი ქალბატონის გამოჩენაც კი საკმარისი იყო, რომ შეგენიშნათ, როგორი მოკრძალებითა და პატივისცემით ხვდებოდნენ სტუდენტები და კოლეგები. პროფესორი ნინო მანგალაძე პატიოსნებისა და

„სიცოცხლე ჩვენი არც დღისაა, არც მამისა, ქვეყნის არის“,- დიდი ილიას ეს უკვლავი სიბრძნე იყო ცხოვრების კრედიტო ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებლისა და კოლეგის, ქალბატონ ნინო მანგალაძისათვის. მას ერთი დღეც არ უცხოვრია მხოლოდ საკუთარი თავისათვის. საქვეყნო საქმე, მშობლიური უნივერსიტეტი მისთვის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი იყო. პროფესორი ნინო მანგალაძე - ძალიან ბევრის მიქმეღია ეს სახელი და გვარი ჩვენთვის და ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც პქონია რაიმე შეხება მასთან. ჩვენთვის ქალბატონი ნინო მანგალაძე იყო იდეალი ადამიანისა, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა მომავალი ბიოლოგების არა მარტო კარგ სპეციალისტებად, არამედ - სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდას. ქალბატონ ნინოს ნათელ სახეზე მუდამ დიმილი დასთამაშებდა. როდესაც ნინო მანგალაძე გავიცანით სრულიად დაერწმუნდით ერთი ქართული გამოჩნობისა და ჭეშმარიტებაში „ღამაზ სხეულში ღამაზი სული არისო“,- ეს სიტყვები სწორედ ქალბატონ ნინოს შეეფერება.

ქალბატონი ნინო მანგალაძე დაიბადა 1914 წელს ქალაქ ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში. 1934 წელს დაამთავრა ქუთაისის სააბრეშუმო ტექნიკუმი, ხოლო 1938 წელს წარჩინებით - აღწულუკიის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი. მაშინვე დატოვებულ იქნა ბოტანიკის კათედრაზე ლაბორანტად. 1944 წლიდან მუშაობდა ამავე კათედრაზე ასისტენტად, 1952 წლიდან კითხულობდა ლექციების



სიტეტის 80-წლიანი არსებობის მანძილზე ბევრი შესანიშნავი ლექტორი მუშაობდა ამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, და მათ შორის უნდა გამოვყოთ ნინო მანგალაძე. მის შესაბამისად შეიძლება დახვავდეს უამრავი ეპიტეტი და მაინც გვეცოტაოს. ის იყო მისაბამი, განათლებული, უბრალოებით შემკული, უკეთილშობილესი პიროვნება, ნამდვილი ინტელიგენტი, გულწრფელი, თავმდაბალი, სანდო, ყველას გულშემატკივარი. სტუდენტების მოყვარული დიდი პედაგოგი, სამართლიანი, ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ოსტატი. მიუხედავად თავისი სიმკაცრისა, ქალბატონი ნინო ძლიერი პიროვნება იყო.

უმწიკვლო პიროვნული თვისებებით გამოირჩეული ქალბატონი იყო. ახასიათებდა გაუტყეველი პრინციპულობა, მექანობის ყოველგვარი გამოვლენებისა და მომხვეჭილობის კატეგორიული უარყოფა. იგი საზოგადოება „ქუთაისელის“ დარბაზის წევრი გახლდათ. ნინო მანგალაძე მთელი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულად და სანთლად იწოდდა, სიხარულად და სიკეთედ თოვდა. ყოველივე მის სიტყვაში იყო უდიდესი ნუგეში, სითბო და სიყვარული.

ერის დიდ შვილთა ღვაწლი მუდამ მისაბამია. ნინო მანგალაძე დაჯილდოებული იყო მედლებითა და ორდენებით.

ქალბატონი ნინო ბიოლოგიის კათედრის ფარაც იყო და მხვილიც. ასეა დღესაც, ზეცური საქართველოდან გვმოდერავს, გვამხნეებს, გვაკავშირებს, გვამაღლებს ამ დიდებული მამულიშვილის ნათელი სული. ყველას ერთნაირად გვიჭირს მასზე წარსულში საუბარი. დარწმუნებული ვართ, რომ ნინო მანგალაძე ჭეშმარიტად გვლოცავს და გულწრფელად ვფიქრობთ, რაოდენ საჭიროა ის ჩვენი დეპარტამენტისა და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. მაღლობა უფალს, რომ არსებობდით ქალბატონი ნინო.

ნინო მანგალაძე დატოვა ნათელი, წარუშლელი კვალი, დიდი სიყვარული და სითბო მის ირგვლივ მყოფი თითოეული ადამიანის გულში.

გვამდეთ, მკვირფასო მანგალაძე, რომ თქვენი მოწაფეები, მოწაფეთა მოწაფენი არასოდეს დაივიწყებენ თქვენს დიდ ამბავს მშობლიური უნივერსიტეტის წინაშე. თქვენს ღვაწლს ქართული საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში და მუდამ ყვაილებით შეამკობენ თქვენს საფლავს.

*მრავალრიცხოვანი აღზრდილებიდან
მანონი გაბელაშვილი,
მანუჩარ ჩიქოვანი*



